საანგარიშო პერიოდში, ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა

წლიური ანგარიში მხარჯავი დაწესებულების პროგრამების და ქვეპროგრამების შესახებ

სახელმწიფო ფინანსების მართვა (პროგრამული კოდი 23 01)

ხაზინის განვითარების რეფორმა (პროგრამული კოდი 23 01 03)

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახური

ათას ლარებში

პროგრამული კოდი	დასახელება	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული მოცულობა	წლიური სახელმწიფო ბიუჯეტის დაზუსტებული გეგმით გათვალისწინებული მოცულობა	წლიური საკასო შესრულება	საკასო შესრულების % წლიურ დაზუსტებულ გეგმასთან მიმართებაში	საკუთარი სახსრებიდან მიმართული თანხები (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
23 01	სახელმწიფო ფინანსების მართვა					
23 01 03	ხაზინის განვითარების რეფორმა	2 230.00	2 230.00	2 184.35	97.95%	

საანგარიშო პერიოდში ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების მოკლე აღწერა:

1. ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, 2021 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) დახვეწა, ბიზნეს-პროცესების გამარტივება და არსებული საინფორმაციო სისტემის მოდერნიზება.

2. საჯარო ფინანსების მართვის გაუმჯობესების და საერთაშორისო პრაქტიკასთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის სტანდარტების (IPSAS) დანერგვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, საერთაშორისო სავალუტო ფონდის (IMF) რეკომენდაციების შესაბამისად, სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად მომზადდა და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2021 წლის 4 თებერვლის №24 ბრძანებით დამტკიცდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის წესის შესახებ“ ინსტრუქცია, ფინანსური ანგარიშგების და განმარტებითი შენიშვნების ფორმებთან ერთად. აღნიშნული ფორმების შესაბამისად სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მომზადდა 2020 წლის ფინანსური ანგარიშგებები და წარმოდგენილ იქნა სახაზინო სამსახურში. აღრიცხვის და ანგარიშგების მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებში განხორციელებული ცვლილებების შედეგად, 2021 წლის 1 იანვრიდან ადგილობრივი ხელისუფლების და ავტონომიური რესპუბლიკების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციები ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებენ სამოქმედოდ შემოღებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის შესაბამისად. მუნიციპალიტეტები და ავტონომიური რესპუბლიკები 2021 წლის და შემდგომი წლების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებს მოამზადებენ აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად, რომელსაც 2022 წლის 1 აპრილამდე წარმოადგენენ სახაზინო სამსახურში. IPSAS სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, ინვენტარიზაციის შედეგების აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის მიზნით, 2021 წლის 31 დეკემბრის №364 ბრძანებით დამტკიცდა „საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების და ინვენტარიზაციის შედეგების საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-ების) საფუძველზე აღრიცხვა-ანგარიშგებაში ასახვის შესახებ“ ინსტრუქცია. გარდა ამისა, ფინანსთა სამინისტროს აკადემიასთან თანამშრომლობის ფარგლებში, განხორციელდა ტრენინგები სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების ბუღალტრებისათვის IPSAS სტანდარტების სწავლებასთან დაკავშირებით. ასევე, GIZ-ის დახმარებით ჩატარდა ტრენინგები ადგილობრივი ბიუჯეტების დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების ბუღალტრებისთვის, რაც გულისხმობდა საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე შემუშავებული აღრიცხვის და ანგარიშგების მეთოდოლოგიის სწავლებას, IPSAS-ების პრაქტიკაში გამოყენების მიზნით. სამოქმედოდ შემოღებული IPSAS სტანდარტების საფუძველზე მომზადდა სახელმწიფო ბიუჯეტის ორგანიზაციების კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, რომელიც

დანართების სახით მოიცავს ასევე ადგილობრივი ბიუჯეტების ფინანსურ ინფორმაციასაც. აღნიშნული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მიზნებისათვის გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.ge

3. 2021 წლის განმავლობაში მუდმივად ხორციელდებოდა ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგებების წარმოების დახვეწა და სრულყოფა. დღეისათვის სახელმწიფო ხაზინა აწარმოებს სახელმწიფო და ადგილობრივი ბიუჯეტების, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსით განსაზღვრული სსიპ-ების და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის ცვლილების აღრიცხვას, ანგარიშგებას და ანგარიშსწორებას, სახელმწიფო ხაზინის ერთიანი ანგარიშის და სახელმწიფო ხაზინის სხვა სალარე და სავალუტო ანგარიშების მართვას, ოპერირებას და აღრიცხვას, ზედმეტად ან შეცდომით გადახდილი თანხების დაბრუნებას, აღრიცხვას და ანგარიშგებას, სახელმწიფო ხაზინის მიერ კომერციულ ბანკებში განთავსებული თანხების აღრიცხვას, მართვას და ანგარიშგებას და სხვა. ყოველდღიურ საქმიანობასთან ერთად მუდმივად ხდებოდა აღრიცხვისა და ანგარიშსწორების პროცესის საოპერაციო ციკლის სრულყოფა და ოპერატიულობის გაუმჯობესება, ანგარიშგებების ფორმების დახვეწა და ახალი, უფრო ინფორმატიული ანალიტიკური ფორმების შემუშავება.

დასახული შუალედური შედეგები:

1. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემის (PFMS) შემდგომი გაფართოების და განვითარების შედეგად გაიზრდება ბიუჯეტიდან განხორციელებული გადახდების გამჭვირვალობის დონე, ამაღლდება საბიუჯეტო ორგანიზაციების ანგარიშვალდებულების ხარისხი, გაუმჯობესდება გადაწყვეტილებების მიღების ხარისხი სახელმწიფო ფინანსების ეფექტიან გამოყენებასთან დაკავშირებით. დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული ხაზინის მთავარი წიგნის ფუნქციონირება უზრუნველყოფს რეალურ დროში ინფორმაციის მიღებას თითოეული ორგანიზაციის, თუ მთლიანი მთავრობის აქტივებისა და ვალდებულებების შესახებ.
2. საჯარო სექტორში აღრიცხვის რეფორმის შედეგად გაიზრდება სააღრიცხვო ინფორმაციის ხარისხი, ამაღლდება საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტერთა კვალიფიკაციის დონე, გაუმჯობესდება სახელმწიფო ფინანსების მართვის პრაქტიკა და სხვ. რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ფინანსების მიმართ საზოგადოებრივი ინტერესისა და ნდობის ამაღლებას და გაზრდის ანგარიშვალდებულებისა და გამჭვირვალობის დონეს.
3. ბიუჯეტების აღრიცხვა და ანგარიშგებების სრულყოფის შედეგად გაიზრდება ბიუჯეტების აღრიცხვა- ანგარიშგების გამჭვირვალობის დონე და გაუმჯობესდება ანგარიშვალდებულების ხარისხი. უფრო ინფორმატიული გახდება ანგარიშგებები, რაც თავის მხრივ ეფექტიანი გადაწყვეტილებების მიღების წინაპირობა იქნება.

მიღწეული შუალედური შედეგები:

1. ფისკალური გადაწყვეტილებების ეფექტიანობის გაუმჯობესების მიზნით, სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ბიზნეს-პროცესები გამარტივებულია და დახვეწილია.
2. დარიცხვის მეთოდის IPSAS სტანდარტების მოთხოვნები ასახულია აღრიცხვის და ანგარიშგებისმარეგულირებელ აღრიცხვა-ანგარიშგების ინსტრუქციებში. სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყოველწლიურად გაუმჯობესებულია და გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ოფიციალურ ვებგვერდზე www.treasury.ge
3. ანგარიშგებების დახვეწის და სრულყოფის შედეგად, ბიუჯეტების აღრიცხვის და ანგარიშგებების ხარისხი გაუმჯობესებულია, გაზრდილია ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგების გამჭვირვალობის დონე და ანგარიშვალდებულება.

მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ბიზნესპროცესების გამარტივებულია და მორგებულია მომხმარებელთა საჭიროებებზე.
2. მთავრობის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყოველწლიურად გაუმჯობესებულია დარიცხვის მეთოდის IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის გზით და გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე www.treasury.ge
3. ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება მუდმივად გაუმჯობესებულია როგორც მომცველობისა და ინფორმატიულობის, ისე ოპერატიულობის და გამჭვირვალობის მიმართულებით.

დასახული საბოლოო შედეგები

სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ბიზნეს-პროცესები უზრუნველყოფს სახელმწიფო ფინანსების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას; მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდის საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) შესაბამისად და ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მიზნით, გამოქვეყნებულია ხაზინის ვებ-გვერდზე; ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგება გაუმჯობესებულია როგორც მომცველობისა და ინფორმატიულობის, ისე ოპერატიულობის და გამჭვირვალობის მიმართულებით.

მიღწეული საბოლოო შედეგები

სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ბიზნეს-პროცესები გაუმჯობესებულია და მორგებულია მომხმარებელთა საჭიროებებს; მთავრობის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია დარიცხვის მეთოდზე დაფუძნებული საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (IPSAS) საფუძველზე და ანგარიშვალდებულების და გამჭვირვალობის მიზნებისათვის, გამოქვეყნებულია ხაზინის ვებ-გვერდზე; ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგება გაუმჯობესებულია როგორც მომცველობისა და ინფორმატიულობის, ისე ოპერატიულობის და გამჭვირვალობის მიმართულებით.

მიღწეული საბოლოო შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. სახელმწიფო ფინანსების მართვის ინტეგრირებული საინფორმაციო სისტემაში (PFMS) ბიზნესპროცესები გამარტივებულია და მორგებულია მომხმარებელთა საჭიროებებს.
2. მთავრობის წლიური კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ყოველწლიურად გაუმჯობესებულია დარიცხვის მეთოდის IPSAS სტანდარტების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიღწევის გზით და გამოქვეყნებულია სახაზინო სამსახურის ვებ-გვერდზე www.treasury.ge
3. ბიუჯეტების აღრიცხვა-ანგარიშგების წარმოება მუდმივად გაუმჯობესებულია როგორც მომცველობისა და ინფორმატიულობის, ისე ოპერატიულობის და გამჭვირვალობის მიმართულებით.